

საქართველოს კანონი

„სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №25-26, 15.07.1998, გვ. 14) შეტანილი იქნეს ცვლილება და მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სამხედრო მოსამსახურის სტატუსი ენიჭება:

ა) საქართველოს მოქალაქეს, საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირს და უცხო ქვეყნის მოქალაქეს სამხედრო სამსახურში ჩარიცხვის დღიდან და ეხსნება სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის დღესვე;

ბ) სამხედრო სარეზერვო სამსახურში მყოფ პირს სამხედრო სარეზერვო სამსახურის გასაველად სამხედრო ნაწილში ჩარიცხვიდან სამხედრო ნაწილიდან ამორიცხვამდე პერიოდში.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი